ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის

ქეთევან ჯოხაძის

ანგარიში

2017 წელი

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 88-ე მუხლისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად, *წარმოგიდგენთ ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ.*

ამომრჩეველთა მიღების, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვის შესახებ ინფორმაცია

2014 წლიდან გახლავართ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეხუთე მოწვევის, მაჟორიტარული წესით არჩეული წევრი, გლდანის ოლქში (მუხიანის დასახლება).

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროში მოქალაქეთა მიღება ხდება ყოველდღიურად, ჩემი ბიურო მუშაობს 10:00 - 18:00-მდე და ყველა მოქალაქეს უწევს სხვადასხვა სახის კონსულტაციას და დახმარებას. ბიურო შეისწავლის ჩემს სახელზე შემოსულ წერილებში, საჩივრებში და განცხადებებში, დასმულ პრობლემატურ საკითხებს და ჩემი გადაწყვეტილების მიხედვით რეაგირებას ახდენს მათზე.

ყოველ ოთხშაბათს უშუალოდ ვხვდები მოქალაქეებს, ვეცნობი მათ პრობლემებს და კომპეტენციის ფარგლებში ვუწევ შესაბამის დახმარებას. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში 2700 (ორიათას შვიდასი) მოქალაქესთან შედგა შეხვედრა და განხორციელდა 500-მდე სატელეფონო საუბარი, სულ გავმართე 33 მიღება (7.12.2016, 14.12.2016, 21.12.2016, 28.12.2016, 4.01.2017, 11.01.2017, 18.01.2017, 25.01.2017, 8.02.2017, 22.02.2017, 1.03.2017, 15.03.2017, 29.03.2017, 5.04.2017, 12.04.2017, 19.04.2017, 26.04.2017, 3.05.2017, 10.05.2017, 17.05.2017, 24.05.2017, 1.06.2017, 7.06.2017, 14.06.2017, 21.06.2017, 28.06.2017, 5.07.2017, 12.07.2017, 19.07.2017, 26.07.2017, 9.08.2017,16.08.2017, 6.09.2017) .

წარმოგიდგენთ, ჩემი თანამონაწილეობით და გლდანის რაიონის გამგეობის მიერ მუხიანის ტერიტორიაზე განხორციელებულ და მიმდინარე წლის ბოლომდე დაგეგმილ სამუშაოების შესახებ ინფორმაციას;

განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები:

ავჭალა 1 (მუხიანის სამხედრო დასახლება) - მასშტაბური პროექტი, რომლის ფარგლებშიც წყალრინების (კანალიზაციის) და სანიაღვრე ქსელის მოწყობა/რეაბილიტაცია სამხედრო დასახლების მთელ ტერიტორიაზე განხორციელდა. მუხიანის სამხედრო დასახლების ტერიტორიაზე წლების განმავლობაში გადაუჭრელ პრობლემას წარმოადგენდა ინფრასტრუქტურული მოწყობის საკითხი, კერძოდ დასახლებაში არ არსებობდა სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემა. ჩემი ინიციატივით, გლდანის გამგეობასთან ერთად, წლების მანძილზე მოუგვარებელი პრობლემის აღმოსაფხვრელად შედგა მოლაპარაკებები, კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის „ -ის წარმომადგენლებთან, სასმელი წყლის, სანიაღვრე და საკანალიზაციო ქსელების მოწყობასთან დაკავშირებით. შედეგად პროექტის ფარგლებში მიწისქვეშა კომუნიკაციების ქსელი 3093 გრძივ მეტრზე მოეწყობა და სამუშაოების განხორციელების შემდეგ, კანალიზაციის პრობლემა 245 ოჯახს მოუგვარდება. წყალრინების

ქსელი გაბაშვილის, ღვალაძის, ქობის, ქუჯი ერისთავის, გობრონიძის ჩიხის, ლურჯქედის, ბრონშტეინისა და საგუბარის ქუჩებზე მოეწყობა, ამჟამად ქსელის მოწყობის სამუშაოები 4 ლოკაციაზე ერთდროულად მიმდინარეობს. კანალიზაციის ქსელის მოწყობის დასრულების შემდეგ, ღვალაძის, ქობის და გაბაშვილის ცენტრალურ ქუჩებზე სრულად მოწესრიგდება საგზაო ინფრასტრუქტურა.

ასევე ჩემი ძალისხმევით მუხიანის IVბ მ/რ-ში , კერძოდ რაგბის ახალი კომპლექსის მიმდებარე ტერიტორიაზე მოწესრიგდა საგზაო ინფრასტრუქტურა, ქუჩის ძირითად მონაკვეთზე მოხდა ე.წ. „გრეიდერის" გადატარება, რაც ამ ეტაპზე მოსახლეობას მოუგვარებს ძირითად პრობლემას და შესაძლებელს გახდის ტრანსპორტის შეუფერხებლად გადაადგილებას.

სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა მუხიანის ტერიტორიაზე არსებულ ხუთ სპორტულ მოედანს, მუხიანის II მ/რ კორპ N11-12, მუხიანის IVბ მ/რ კორპუსის N39-ის, მუხიანის 4ა მ/რ კორპ №3.4.6-ის, მუხიანის 3 მ/რ კორპ№1-2-ის და მუხიანი მე-2 მ/რ კორპ. N3-4 მიმდებარედ. შეიცვალა ძველი მავთულბადეები, დაისხა რკინა-ბეტონის ზედაპირი, დაიგო ხელოვნური მწვანე საფარი, დამონტაჟდა კალათბურთის ფარი და ფეხბურთის კარი, სულ განხორციელდა 189576.51 ლარის სამუშაოები.

გაიხსნა რაგბის სავარჯიშო კომპლექსი მუხიანში -ასეთი სპორტული სივრცისეები აუცილებელია დედაქალაქში, რათა ადგილობრივი მოსახლეობა აქტიურად იყოს ჩართული სპორტის სხვადასხვა სახეობებში. *ჩემი საქმიანობის პრიორიტეტს წამოადგენს თბილისის მასშტაბით სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროს ხელშეწყობა,* ამ მხრივ საამაყო და მნიშვნელოვანია, რომ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი რაგბის სავარჯიშო კომპლექსი სწორედ მუხიანის დასახლებაში მიმდინარე წლის მაისში გაიხსნა *და წარმატებით მიხერხდება ამ მიმართულებით არსებული წინა საარჩევნო დაპირების შესრულება.* მუხიანის სარაგბო კომპლექსი 4 ჰექტარ ტერიტორიას მოიცავს და აქ ერთი ბუნებრივსაფარიანი, ორი ხელოვნური და ერთი ქვიშის მოედანი განთავსდა. ამასთანავე მოეწყო სავარჯიშო დარბაზი, რომელიც სპორტული ინვენტარით, საშხაპეებითა და გასახდელით აღიჭურვა.კომპლექსი 1000 გულშემატკივარზე გათვლილ ტრიბუნასა და 100 მანქანაზე გათვლილ საპარკინგე ზონას მოიცავს. კომპლექსი მოემსახურა რაგბის ოცწლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატის გუნდებს, სავარჯიშოდ.

ლაგურაშვილის ქუჩაზე, მუხიანის 4ა მ/რ კორპ N18-19 , მუხიანის 4ბ მ/რ კორპ N22–23-ში, ასევე მუხიანის მე-3 მ/რ კორპ N20-21 და მუხიანის მე-2 მ/რ, კორპ N18-ის მიმდებარედ მოეწყო სკვერები, მუხიანში, სკვერების კეთილმოწყობისთვის შეძენილია და დამონტაჟებულია 50 (ორმოცდაათი) საპარკე სკამი. ასევე მოსახლეობის მოთხოვნისამებრ მუხიანის დასახლებაში ხუთ მისამართზე მოეწყო მოსასვენებელი *ფანჩატური.*

კორპუსის ავარიული ელემენტების აღდგენა შეკეთება:

მუხიანი 2-ის- ნეკრესის ქ. №29-ში და მუხიანი 2-ის- იაკობის ქ. №51 ჩატარდა საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები. მუხიანის დასახლებაში, მე-4ა მ/რ რამოდენიმე მისამართზე, მოთხოვნის შესაბამისად რეაბილიტაცია ჩაუტარდა და მოეწყო სადარბაზოს მიმდებარედ საერთო სარგებლობის კიბეები და ბაქნები, საერთო ჯამში განხორციელდა

28308.96 ლარის სამუშაოები. ასევე მუხიანის მე-3 მ/რ კორპ. N20-ში მოხდა დაზიანებული სახურავის ფილის აღდგენის სამუშაოები, ფორსმაჟორული სიტუაციის გამო, რომლის ღირებულებაა 4791.16 ლარი. სტიქიის შედეგად დაზიანებული სახურავების სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა მუხიანის 4ა და 1 მ/რ-ის, N1 და „ა" კორპუსში. რეაბილიტაცია ჩაუტარდა მუხიანის 1-ლი „ა", მე-2-ე, მე-3-ე, მე-4-ე, მე-4ა-ე და მე-4ბ-ე მ/რაიონების შიდაკვარტალური გზები, სულ ჩატარდა 819661.53 ლარის სამუშაობი, ასევე განხორციელდა გზის ორმოული და ფრაგმენტების შეკეთების სამუშაოები სულ 173051.85 ლარის.

მიმდინარე წელს გზის საფარის კეთილმოწყობით სამუშაოები განხორციელდა მუხიანი 2-ის ტერიტორიაზე, კერძოდ: გამარჯვების ქუჩის მონაკვეთი ნეკრესის ქუჩამდე, გამარჯვებისა და სამეგრელოს ქუჩის მონაკვეთი რიკოთის ქუჩის გადაკვეთამდე და ჩიხორას ქუჩაზე.

მუხიანის დასახლებაში არსებული ხუთივე მ/რაიონის მაცხოვრებელთა მოთხოვნებისა და საჭიროებების შესაბამისად მიმდინარე წლის ბოლომდე იგეგმება შემდეგი კეთილმოწყობისა და ინფრასტრუქტურული სამუშაოები:

საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მიზნით მიმდინარე წელს დაგეგმილია მუხიანის მ/რაიონების ტერიტორიაზე არსებული შიდაკვადრატული ეზოებსა და ქუჩებზე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება სავარაუდოდ 15 000 კვ.მ -ზე , მუხიანის 4ა მ/რ კორპ. №12-13-ის მიმდებარედ (30X13,8 ფართის) და მუხიანის მე-2 მ/რ მე-8 კორპუსთან სპორტული მოედნების რეაბილიტაცია; მუხიანის 4ა მ/რ კორპN8-დან №18-მდე საერთო სარგებლობის კიბის მოწყობა, გამწვანებითი სამუშაოების განხორციელება. მოსახლეობის თხოვნით ნონეშვილის ქუჩის დასაწყისში 4000 კვ.მ-ზე მოეწყობა სკვერი, ამჟამად მიმდინარეობს საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება. ასევე ადგილობრივი მაცხოვრებლების მოთხოვნის საფუძველზე იგეგმება გარე-გამოყენების სავარჯიშო მოწყობილობების დამონტაჟება, რაც მოსახლეობას საშუალებას მისცემს დაკავდეს ჯანსაღი ცხოვრების წესით უსასყიდლოდ, დღის ნებისმიერ მონაკვეთში.

მუხიანი 2-ის ინფრასტრუქტურული მოწყობა: - მუხიანის დასახლებაში ასევე აქტუალურია ქ. თბილისის შემოერთებული ტერიტორია და მისი კეთილმოწყობის საკითხი. კერძოდ მუხიანი 2 -ის დასახლება, დედაქალაქს რამდენიმე წლის წინ შემოუერთდა, აღნიშნულ ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურული მოწყობის კუთხით არსებული მძიმე მდგომარეობა უკვე წლებია ადგილობრივი მოსახლეებისთვის მოუგვარებელ პრობლემად იქცა. ამ დრომდე დასახლებაში არ არსებობს საგზაო ინფრასტრუქტურა, სანიაღვრე და საკანალიზაციო ქსელები, რაც მრავალ პრობლემას უქმნის მოსახლეობას, საგზაო ინფრასტრუქტურის არ არსებობის გამო , გაძნელებულია ტრანსპორტით გადაადგილება, სანიაღვრე სისტემის გაუმართაობის შედეგად კი მოსახლეობას ხშირად საცხოვრებელი სახლები და ეზოები ეტბორებათ. აღნიშნული მძიმე სიტუაციიდან გამომდინარე, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია განხორციელდეს შესაბამისი სამუშაოები დასახლებაში არსებული ინფრასტრუქტურული პრობლემების მოსაგვარებლად. საწყის ეტაპზე საჭიროა საკანალიზაციო სისტემის მოწყობა - მოწესრიგება, მხოლოდ ამ პრობლემის აღმოფხვრის შემდეგ გახლავთ მართებული

დაიგეგმოს გზის მშენებლობა, კერძოდ ასფალტ-ბეტონის საფარის დაგება და სანიაღვრე ქსელის მოწყობა.

სპორტული ინფრასტრუქტურა:
საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის დარბაზი - სასიხარულოა, რომ მუხიანში 175-ე საჯარო სკოლასთან, ძიუდოს განვითარების ფონდის მიერ რეაბილიტირებული ახალი დარბაზი გაიხსნა. ფართი, საქართველოს ძიუდოს ფედერაციას ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და თბილისის მერიასათან მიღწეული შეთანხმების საფუძველზე გადაეცა, დღეისათვის, რეაბილიტირებულ დარბაზში უკვე 50-ზე მეტი ბავშვი ვარჯიშობს, თუმცა მათთვის ამ დრომდე პრობლემატურ საკითხს წარმოადგენდა წყალგაყვანილობის ქსელის არარსებობა, აღნიშნულ საკთხთან დაკავშირებით მათ გაეწიათ შუამდგომლობა შესაბამის უწყებაში. დღეის მდგომარეობით კი უკვე გამოითქვა მზადყოფნა შესაბამისი სამსახურის მხრიდან არსებული პრობლემის გადასაჭრელად.
ასევე აღსანიშნავია მუხიანის II მ/რ-ში, ყოფილი "სიონის" სტადიონის ტერიტორიაზე დაგეგმილი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობის საკითხი. აღნიშნულ პროექტში მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე, ჩემი ძალისხმევით მოხდა ცვლილებების შეტანა, კერძოდ: პროექტში არსებული სპორტული მოედანი შენარჩუნებულ იქნა და მის ფარგლებში ასევე მოეწყობა მაყურებელთა ტრიბუნები და გამოსაცვლელი ოთახები.
ჯანდაცვა და სოციალური საკითხები- სამედიცინო მომსახურეობის დაფინანსების თხოვნით მოგვმართა 95 მოქალაქემ, აქედან უმრავლესობა დაკმაყოფილდა სრულად, ნაწილი მოთხოვნილი თანხის 70%-ით. მედიკამენტები გადაეცა 48 ოჯახს, რომლის დაფინანსება დეპუტატის შუამდგომლობით უზრუნველყო თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურმა და გლდანის რაიონის გამგეობამ.

ჩემი დახმარებით სოციალურად დაუცველი მოქალაქეებს, სტატუსის შეჩერებასთან დაკავშირებული სამართლებრივი კონსულტაცია და დახმარება გავუწიე. შემოსული წერილობითი და ზეპირი განცხადებების საფუძველზე მოხდა სოციალურად დაუცველი იმ მოქალაქეების პრობლემის გამოკვლევა და მოგვარება, ვისაც შეუჩერეს სტატუსი ან ხელმეორედ გადამოწმების საფუძველზე მიანიჭეს მაღალი სარეიტინგო ქულა, რის გამოც მოეხსნათ ფულადი შემწეობა.

მუხიანში მცხოვრები იძულებით გადადგილებული პირები და მათთვის სოციალური პირობების გაუმჯობესება: - მუხიანში ყოფილი სახლმმართველობის შენობაში 2008 წლიდან, რამოდენიმე იძულებით გადაადგილებული ოჯახი, უმძიმეს სოციალურ პირობებში ცხოვრობდნენ, ბუნებრივი აირის და ელექტროენერგის გარეშე, ჩემი ძალისხმევით ეს პრობლემა დღესდღეობით მოგვარებულია. ასევე ჩემი შუამდგომლობის საფუძველზე პირველ რიგში, შესაძლებელი გახდა აღნიშნულ მისამართზე მცხოვრებ მოქალაქეთა დროებითი დამისამართება და მოხერხდა მათთვის არსებული ელექტროენერგიის დავალიანების ჩამოწერა, რის შედეგადაც ოჯახებს აღუდგათ ელექტროენერგიის და ბუნებრივი აირის მიწოდება. აღნიშნული შენობა სავალალო მდგომარეობაშია და საჭიროებს სასწრაფო გადახურვას.

ხანგრძლივ სარგებლობაში არსებული ფართების საკუთრებაში გადაცემის საკითხი:

მუხიანის დასახლებაში IV-ა მ/რ-ის მე-10-ე კორპუსში ოჯახები უკვე წლებია ცხოვრობენ და ფლობენ საცხოვრებელ ფართებს, ჩემს მიერ, მომართვის საფუძველზე, მათ გაეწია შუამდგომლობა, როგორც ქ. თბილისის მერიის ქონების მართვის სააგენტოსთან, ასევე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან დაკავებული საცხოვრებელი ბინების საკუთრებაში გადაცემის თაობაზე, ვინაიდან არსებული ფაქტორივი და სამართლებრივი მდგომარეობა, წარმოადგენს უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის მოთხოვნის საფუძველს. საკითხი განხილვის პროცესშია და ველოდებით გადაწყვეტილებას შესაბამის უწყებების მხრიდან.

საანგარიშო პერიოდში ჩემი ინიციატივით ჩატარდა სხვადასხვა სოციალურ, საქველმოქმედო, შემოქმედებითი ღონისძიებები.

ჩემი შუამდგომლობით დასახლებაში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ და მრავალშვილიან დედებს უფასო სამედიცინო გამოკვლევები ჩაუტარდათ. გაზაფხულის დღესასწაულებთან დაკავშირებით გამართული აქციის ფარგლებში, ქალბატონებმა დიაგნოსტიკურ-ლაბორატორიული, ექოსკოპიურ, კარდიოლოგიური და სხვა სახის გამოკვლევებითა და კონსულტაციით უფასოდ ისარგებლეს. (02.03.2017). გლდანის რაიონის გამგებელთან ერთად აღდგომის დღესასწაული მივულოცე მუხიანში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ მოსახლეობას, ვესტუმრე უფასო სასადილოებს და სასადილოებით მოსარგებლე ბენეფიციარებს და სააღდგომო ნობათები გადავეცით(12.04.2017). მუხიანში არსებული ბაგა-ბაღების აღსაზრდელებს ბავშვთა საერთაშორისო დღე მივულოცე, დავესწარი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში გამართულ ღონისძიებებს და 153-ე და 173-ე ბაგა - ბაღების კოლექტივს მომავალი თაობის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის მადლობის სიგელი გადავეცი.

დავესწარი ჩემპიონატს „გლდანის თასი ქუჩის კალათბურთში 2017„ და ტურნირის გამარჯვებულ გუნდებს მედლები და სასაჩუქრე ვაუჩერებით დავაჯილდოვე. ჩემპიონატი გლდანის რაიონის ორგანიზებით, ფიბას სტანდარტების დაცვით ჩატარდა და მასში 27 გუნდი მონაწილეობდა.

საკრებულოს სხდომებში, კომისიებისა და ფრაქციის მუშაობაში მონაწილეობის, საკრებულოს პროექტებისა და ინიცირების შესახებ ზოგადი ინფორმაცია.

ქ. თბილისის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის შესაბამისად საანგარიშო პერიოდში (01.11.2016-10.10.2017) გაიმართა ბიუროსა და საკრებულოს 27 სხდომა, ჩემი თანამონაწილეობით მთლიანობაში მიღებულია დედაქალაქისთვის მნიშვნელოვანი 93 დადგენილება და 498 განკარგულება.

2016 წლის 16 დეკემბრს №30-87 დადგენილებით, დამტკიცებულ იქნა დედაქალაქის 2017 წლის ბიუჯეტი, რომელშიც აისახა მოსახლეობის მოთხოვნები და გათვალისწინებული იქნა მნიშვნელოვანი პრიორიტეტები როგორებიცაა: სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა/აღდგენა, ქალაქის განვითარების ხელშეწყობა, ეკოლოგიური მდგომარეობის

შენარჩუნება და გაუმჯობესება, ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა, განათლება, სპორტი, ახალგაზრდობა.

გუნდისთვის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს დედაქალაქში საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, ქუჩებისა და მაგისტრალების განტვირთვა ჭარბი სატრანსპორტო ნაკადისაგან, თბილისის სატრანსპორტო და სატრანზიტო გამტარიანობის გაზრდა, სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციის ვადის გახანგრძლივება და გზების გაუმჯობესების შედეგად მიღებული ეკოლოგიური შედეგები.

გასულ წელს დაიწყო და მიმდინარე წელს გრძელდება ევროსტანდარტების შესაბამისი ავტობუსების შემოყვანა და მეტროს განახლება/რეკონსტრუქცია. მიმდინარე წელს დასრულდა ვარკეთილის" სადგურის სარემონტო სამუშაოები, მეტროსადგურების რეაბილიტაციის პროექტის მიხედვით, რომელიც 2016 წლის ბოლოს დაიწყო. სატრანსპორტო კომპანიამ, 2016 წელს დაიწყო თბილისის მეტროსადგურების კაპიტალური რეაბილიტაციის პროექტი, რომლის ფარგლებში უკვე განახლდა მეტროსადგური „ახმეტელის თეატრი", ხოლო მეტრო "ავლაბარს" გამაგრებითი სამუშაოები ჩაუტარდა. 2017 წელს თბილისის მეტროს მგზავრებს 8 განსხვავებული ფორმისა და დიზაინის, სრულიად განახლებული და მოდერნიზებული ვაგონი მოემსახურება. *მიმდინარე წელს პეკინის განახლებული გამზირი გაიხსნა,* აღსანიშნავია, რომ პეკინის ქუჩაზე გამოიცვალა მიწისქვეშა კომუნიკაციები, განახლდა ამორტიზებული სანიაღვრე ქსელი. გზის საფარის რეაბილიტაციის პარალელურად მოეწყო ავტობუსის ზოლები და უსაფრთხოების კუნძულები, დამონტაჟებულია ახალი მოსაცდელები და შუქნიშნები, რომლებიც შშმ პირებისთვის ადაპტირებული ხმოვანი აპარატურით აღიჭურვება. უახლესი ტექნოლოგიებით მოწყობილია ქვეითთა გადასასვლელები, ველობილიკები და ველოსადგომები. პეკინის განახლებულ ქუჩაზე ჯამში პარკირების 250 ადგილი იქნება და უახლოეს მომავალში გამწვანების სამუშაოები დაიწყება. ამ მიმართულებით მიმდინარე წელს განხორციელდა ასევე სხვა დაგეგმილი მნიშვნელოვანი პროექტებიც.

მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ დედაქალაქს ამ დრომდე არ ქონდა განვითარების გენგეგმა, რის გამოც ქალაქში მიმდინარეობდა უკონტროლო მშენებლობები, რაც მუდმივად იწვევდა და იწვევს მოსახლეობის გულისწყრომას. მოსახლეობის მოთხოვნების შესაბამისად, ორი წლის განმავლობაში, ჯგუფის „სითი ინსტიტუტი საქართველო"-ს მიერ, უცხოელ სპეციალისტებთან ერთად, მუშავდებოდა დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა. მისი პრეზენტაცია შედგა ამა წლის ივლისში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში. უბნების მიხედვით განისაზღვრა განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტები, რაც კონკრეტულ გაანგარიშებებს დაეფუძნა. უკონტროლო მშენებლობების დროებით შესაჩერებლად საკრებულომ მიიღო დადგენილება ქალაქის ცენტრალურ ნაწილში საცხოვრებელ სახლებზე კ2 კოეფიციენტის გადამეტებასთან დაკავშირებით დროებით შეზღუდვაზე. წარმოდგენილი ცვლილებებით, თბილისის ცენტრალურ ნაწილში საჯარო სივრცეების შენარჩუნების მიზნით, საცხოვრებელ სახლებზე კ2 კოეფიციენტის გადამეტება აღარ მოხდება, ასევე გამწვანებულ ტერიტორიებზე შეიზღუდება განაშენიანების პროცესი. აღნიშნული წესი ძალაში იქნება ახალი გენგეგმის ამოქმედებამდე.

ეკოლოგია: გამწვანების ღონისძიებებისათვის გათვალისწინებული იყო 16 000,0 ათასი ლარი. განხორციელდა 190 476 ათასამდე ძირი ხე-მცენარის შესყიდვა-დარგვა. თბილისის ზოოლოგიური პარკის და ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობისთვის იხარჯება 4 492,9 ათასი ლარი. *პროგრამის განხორციელებით საგრძნობლად უმჯობესდება დედაქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობა, გარე-იერსახე და ქალაქის მოსახლეობის დასვენების პირობები. მწვანე ნარგავებით ტერიტორიების შევსება და მათი შენარჩუნება საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად გაიზარდოს თბილისის მწვანე საფარი.*

ჩვენთვის ასევე მნიშვნელოვანი პრიორიტეტია დედაქალაქის მოსახლეობის ჯანმრთელობის უზრუნველყოფა და სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალური საჭიროებებით მომსახურება.

*ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების ბიუჯეტი შეადგენს **47,8** მილიონ ლარს. პროგრამებით ყოველთვიურად საშუალოდ **100 000** პირის ოჯახი სარგებლობს.*

***2017** წელს ხორციელდება ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის შემდეგი ქვეპროგრამები:* დაავადებათა სკრინინგი, გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლი, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის ქვეპროგრამა , „C" ჰეპატიტის დიაგნოსტიკა, ტრანსპლანტაცია, ბუბუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების, ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება. კომუნალური სუბსიდირება- ცვლილება განხორციელდა კომუნალური სუბსიდირების წესში, მიღებული წესით, პროგრამით *ისარგებლებენ სოციალურად დაუცველი ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 200 000.* სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისთვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება, სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის მე-3, მე-4, მე-5 და შემდეგი შვილის დაბადებისთვის ერთჯერადი მატერიალური დახმარება, შშმ პირთა საკურორტო მომსახურება, 10-დან 16 წლამდე ბავშვების საკურორტო-გამაჯანსაღებელი საზაფხულო ბანაკები, 100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარება, სოციალურად დაუცველი მოსწავლეების მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლებში და მოსავლე ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში სწავლების დაფინანსებასოციალურად დაუცველი მოსწავლეების ხელოვნების სკოლებში სწავლების დაფინანსება, სოციალურად დაუცველი მოსწავლეების საცურაო აუზებსა და სპორტულ სკოლებში სწავლების დაფინანსება,სერვის ცენტრებში სამგზავრო ბარათების დამზადება (ინიციალიზაცია),გრძელდება ყრუ ინვალიდთა თარჯიმან-დაქტილოლოგების მომსახურებით უზრუნველყოფა, სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებები,ომის ვეტერანთა დახმარება, მარტოხელა ხანდაზმულთა დღის ცენტრის ხელშეწყობა,თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობა, სოციალურად დაუცველი 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება, ,,ვოლდ ვიჟენ საქართველოს" სოციალურად დაუცველი ბავშვების დღის ცენტრის თანადაფინანსება, სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარება, სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა

ახალშობილზე ერთჯერადი 500 ლარიანი დახმარება,შინმოვლის თანადაფინანსება, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა

ქ. თბილისში ფუნქციონირებს 506 ბენეფიციარზე მიუსაფართა თავშესაფარი.

განათლება- მოკლედ მოგახსენებთ ამ სფეროში მიმდინერე მოვლენებს. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების პროგრამის ფარგლებში 2017 წელს განხორციელდება სააღმზრდელო მეთოდოლოგიის დახვეწა, მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, ბაგა-ბაღების შშმ პირებზე ადაპტირება და შენობების რეკონსტრუქცია. *2017-2018-2019 წლების პროგრამით განისაზღვრა 25 ბაღის მშენებლობა, საიდანაც 12 ბაღი აშენებულია, დაპროექტებულია 13, რომელთა მშენებლობაც მოხდება 2018-2019 წლებში.* ზოგადი განათლების სისტემის ხელშეწყობის ქვეპროგრამის ფარგლებში ხელი შეეწყო ინკლუზიურ განათლებას, განხორციელდა შემეცნებითი პროექტები და გადამზადდნენ თვითმმართველობის მოხელეები. განვითარდა ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკები, მათი ინფრასტრუქტურა და მომსახურების დონე. ვითარდება მედიათეკები, რომლებშიც დაინერგა საკვირაო სკოლების პროგრამა, მხატვრული კითხვის პროგრამა, წვდომა ქართულ და უცხოურ ონლაინ-ბიბლიოთეკებთან. ხელი შეეწყო უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებს. მიმდინარე წელს სოციალურად დაუცველი სტატუსის სტუდენტების სწავლის საფასურის დაფარვა ხორციელდებოდა 100%, 70% და 50%-ის ფარგლებში. თბილისში რეგისტრირებული წარმატებულ მაგისტრანტებზე გაიცემოდა სტიპენდიები. განხორციელდა მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის შენობის და მიმდებარე ტერიტორიის რემონტი და გაუმჯობესდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. სახელოვნებო სკოლებში არამოთხოვნადი სპეციალობების შენარჩუნების მიზნით დანერგილია მოსწავლეთა უფასო სწავლება.

მხარი დავუჭირე აგრეთვე საკრებულოს შემდეგ მნიშვნელოვან დადგენილებას, რომელიც 2015 წლის 13-14 ივლისის სტიქიით დაზარალებულთა შეეხება: აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საკრებულომ, მერიასთან ერთად, 2015 წელს მიღებულ 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ დაზარალებულ პირთა საცხოვრისით უზრუნველყოფის, უმრავი ქონების დათმობისა და სხვა სახის ფულადი დახმარების გაცემის წესში შეიტანა ცვლილებები დაზარალებულთა სასარგებლოდ. 2017 წელს გაგრძელდა და მიმდინარეობს ამ სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება, რომელიც მოიცავს დაზარალებულ პირთა საცხოვრისით უზრუნველყოფას, სახლების რეაბილიტაციას და სხვა სახის ფულადი დახმარებების ღონისძიებებს.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წ. 11 ოქტომბრის №341 განკარგულებით ვარ ეკონომიკური და საინვესტიციო პოლიტიკის კომისიის წევრი. საანგარიშო პერიოდში გაიმართა ამ კომისიის 14 სხდომა, რომელზეც განვიხილეთ 19 საკითხი.

ვხელმძღვანელობ ქ.თბილისის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, წარმოგიდგენთ საანგარიშო პერიოდში, კომისიის საქმიანობას, განხილულ პროექტებზე, განცხადება/წერილებზე მოხდენილი რეაგირების შესახებ ინფორმაციას.

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომისიამ ჩაატარა 14 სხდომა (08.11.2016, 18.11.2016, 15.12.2016, 23.12.2016, 20.01.2017, 23.02.2017, 20.03.2017, 27.04.2017, 25.05.2017, 15.06.2017, 25.07.2017, 15.08.2017, 26.09.2017, 24.10.2017), რომლებზეც განხილულია 18 საკითხი. საკრებულოს სხდომის პროექტებზე მომზადდა კომისიის 11 დასკვნა.

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომებზე განხილული საკითხები:
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ„ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 26 დეკემბრის N32-127 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (N 04/18754, 04.11.2016); ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა (N 04/19055, 15.11.2016); ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის განხილვა (წერილი №04/20047, 09.12.2016.); ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი -„ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ„ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 26 დეკემბრის N32-127 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ(№04/20594, 21.12.2016); ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების-ხელოვნების სკოლებისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ქ. თბილისი მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის (ს/ნ.:204526352) სასწავლო-შემოქმედებით პროცესში მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეების რაოდენობის შესაბამისად (წარმატებული მოსწავლეებისა და მათი მასწავლებლების წახალისების მიზნით) დაფინანსების პროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ"; „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 22 ივლისის N18-50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (N04/2262,17.02.2017), „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის N30-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" (04/2339, 21.02.2017); „ქალაქ თბილისის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 23 სექტემბრის N9-19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (N04/3093,13.03.2017) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის მოსმენა (04/2656, 28.02.2017); „როდესაც სპორტი ცვლის სამყაროს" - პროექტის პრეზენტაცია; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენა (საანგარიშო პერიოდი, 2017 წლის, I-ლი კვარტალი); „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 23-ე მუხლის შესაბამისად-ქ.თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის განსაზღვრა; ა(ა)იპ გლდანი-ნამალადევის კომპლექსური ცენტრის, მუხიანის სარაგბო კომპლექსის დათვალიერება;

ქალთა საფეხბურთო გუნდ "თბილისის თბილის"-თან შეხვედრა; „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის N30-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" (04/8353, 21.07.2017); „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის N30-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (04/8993, 11.08.2017); ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენა (საანგარიშო პერიოდი, 2017 წლის, III კვარტალი), ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის, პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების განმხილველი კომისიის ანგარიშის მოსმენა.

კომისიამ წლის დასაწყისში მოისმინა ბიუჯეტის 2016 წლის შესრულება და მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელის 2017 წლის სამუშაო გეგმა.

კომისიამ იმსჯელა 2017 წელს დედაქალაქში გასამართ მასშტაბურ ღონისძიებებზე. რასთან დაკავშირებით მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროს ირაკლი გვილავასთან ერთად სამუშაო შეხვედრა გავმართეთ საქართველოს კალათბურთის, ძალოსნობის, ჩოგბურთის, ჭადრაკის,ძიუდოს და წყალბურთის ფედერაციების ხელმძღვანელებთან. ვისაუბრეთ სპორტის ამ სახეობის პერსპექტივებზე და ჩასატარებელი ღონისძიებების მნიშვნელობაზე.

კვლავ აქტუალურია გასხვისებულ სპორტული მოედნებზე მშენებლობების მიმდინარეობა. ჩვენ, მერიის შესაბამის სამსახურთან და სამინისტროსთან შეთანხმებით, ვცდილობთ მოედნის მესაკუთრეებს შევთავაზოთ სამაგიერო ტერიტორია, რათა გადავარჩინოთ სპორტული მოედნები.

საქართველოს მთავრობის დადგენილებით N748, რომელიც ეხებოდა საქართველოში ჭადრაკის განვითარების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცებას, ჭადრაკის განვითრებისთვის 2015-2018წწ. გამოყოფილია 33 178 649 ლარი. ამ თანხიდან 2015 წ. თებერვალში ვაჟთა შორის მსოფლიო გრან-პრის გათამაშება დაფინანსდა 105 000 (ას ხუთი ათასი) ლარით. 2016 წელს ამ პროგრამიდან დაიხარჯა 100 000 ლარი, რაც გათვალისწინებული იყო ნონა გაფრინდაშვილის 75 წლის იუბილესთან დაკავშირებით ქალთა მსოფლიო გრან პრის გათამაშებისთვის. 2017 წელს ჭადრაკში მსოფლიო თასის გათამაშებისთვის ქ. თბილისის ბიუჯეტიდან იხარჯება 1 507 500 მლნ. ლარი.

ჩემი წინადადებით, შუამდგომლობით და სპორტის მინისტრის მხარდაჭერით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადდა, საკრებულომ დაამტკიცა და 2017 წელშიც ძალაშია დადგენილების პროექტი „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წ. 30 დეკემბრის #20-90 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ",

რომელიც ეხება სპორტის სფეროს საწარმოების ქონების საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების 0,001%-ს. მნიშვნელოვანია, რომ დაზოგილი თანხები, მოხმარდება სპორტის განვითარების ხელშეწყობას.

კომისიის მიერ ხელი შეეწყო სპორტულ/ახალგაზრდულ ა(ა)იპ-ების შექმნას. დღეისთვის ფუნქციონირებს 9 არასამეწარმეო (არაკომერციული) სპორტული იურიდიული პირი.

მიმდინარე წელს სპორტული ა(ა)იპ-ები სპორტის 35-მდე სახეობაში მოემსახურნენ 6 000-მდე ბენეფიციარს.

მიმდინარე წელს - ჩატარდა 195 ღონისძიება, დაფინანსდა თბილისის 37 სპორტული ფედერაცია, საქართველოს 22 ეროვნული ფედერაცია, ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო 34 000 - მდე ბენეფიციარმა

მნიშვნელოვანი ღონისძიებები: მსოფლიო თასის გათამაშება ჭადრაკში" – 2-28 სექტემბერი; „გრან-პრის ტურნირი ძიუდოში „2017" - 31 მარტი-2 აპრილი; „მზის შვილები" – 25 მარტს, დაუნის სინდრომის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით რიყის პარკში სპორტული აქტივობები; „სპორტის საერთაშორისო დღისადმი (6 აპრილი) მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში, სხვადასხვა სპორტული აქტივობა (ფრენბურთი; ჩოგბურთი; 3X3 კალათბურთი, ქუჩის ფეხბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, უშუ, გარბენი) – 31 მარტი - 8 აპრილი; „სასკოლო სპორტული ოლიმპიადა თბილისი 2017" – 7 აპრილი -15 ივლისი; კალათბურთში საერთაშორისო ტურნირი -„თბილისის მერიის თასი 2017" (ტურნირის ფარგლებში NBA-ს საჩემპიონო თასისა და ევრობასკეტის თასის პრეზენტაცია)– 7- 11-13 აგვისტო;

მიმდინარე წელს განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები-მუხიანის დასახლების მე-4 მ/რ-ში 27 მაისს გაიხსნა საერთაშორისო სტანდარტების 3 სარაგბო მოედანი (1 ბუნებრივი და 2 ხელოვნურსაფარიანი). კომპლექსი მოიცავს სავარჯიშო დარბაზს, 1 000 გულშემატკივარზე გათვლილ ტრიბუნას, საკუთარი პარკინგის ზონას. კომპლექსის ტერიტორიაზე აგრეთვე მოეწყო 1 ქვიშის მოედანი.

გარე-გამოყენების სავარჯიშო მოწყობილობები (ტრენაჟორები)-ქ. თბილისის ათი რაიონის დამატებით 18 სკვერში დამონტაჟდა. გარე–გამოყენების სავარჯიშო მოწყობილობები. ფიტნეს-ტრენაჟორები მოთავსდება საჩრდილობელი ფანჩატურის ქვეშ. სავარჯიშო მოწყობილობების დამონტაჟება მოსახლეობას საშუალებას მისცემს დღის ნებისმიერ მონაკვეთში, უსასყიდლოდ დაკავდეს სპორტული აქტივობით;
ველოპარკინგები-ქ. თბილისის ტერიტორიაზე, 27 ლოკაციაზე დამონტაჟდა ველოპარკინგები. თითო პარკინგზე განთავსდა 5-10 ცალი სადგომი ბოძი.

ა(ა)იპ „ქ. თბილისის მერიის ტანვარჯიშის განვითარების სპორტულ ცენტრში" განხორციელდა შენობის ნახევრადსარდაფის 240 კვ/მ-ის რეაბილიტაცია, სადაც განთავსდა ქორეოგრაფიის დარბაზი. ახალი დარბაზი გათვლილია კვირაში 400 ტანმოვარჯიშეზე.

მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები:

ვაზისუბანში (მე4 მიკრო-რაიონის მიმდებარე ტერიტორიაზე), 12 306 კვ.მ. ფართობზე, საერთაშორისო სტანდარტების მქონე რაგბის სტადიონი მოეწყობა, ტერიტორიაზე განთავსდება საერთაშორისო სტანდარტების სტადიონი, ადმინისტრაციული შენობა, 500 ადგილიანი ტრიბუნა და საშხაპეები; სტადიონი განკუთვნილი იქნება როგორც რაგბისტებისთვის, ასევე ფეხბურთის, ბეისბოლის, ბალახის ჰოკეის და ფრისბის შესწავლის მსურველებისთვის; კომპლექსი მინიმუმ 500 ბენეფიციარს მოემსახურება;

ნაძალადევის სპორტული კომპლექსი-მიმდინარეობს ა(ა)იპ ,,გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრის" ნაძალადევის კომპლექსის, საცურაო აუზისა და სპორტული დარბაზის სრული რეაბილიტაცია. სპორტულ ბაზაზე მოეწყობა ჭიდაობის დარბაზი, კრივის რინგი და 2 საცურაო აუზი (დიდი - 25 მ. პატარა - 15 მ). ასევე სპორტსმენებისთვის მოეწყობა ფიტნეს-დარბაზი, გასახდელები და კაფე. სრული დატვირთვის შემდეგ ცენტრი მოემსახურება 1 000-ზე მეტ ბენეფიციარს; სამუშაოები დასრულდება მიმდინარე წლის დეკემბერში.

ისანი-სამგორის კომპლექსური სპორტული ცენტრის (ყოფილი სპორტული ცენტრი „ლილო") ტერიტორიაზე მიმდინარეობს ტანვარჯიშის დარბაზის მშენებლობა, სადაც ჩატარდება ვარჯიშები ბატუტზე ხტომებსა და აკრობატიკაში. დარბაზი 400 ბენეფიციარს მოემსახურება. მშენებლობა დასრულდება მიმდინარე წლის დეკემბერში.

მიმდინარე წელს მატერიალური მხარდამჭერი პროგრამებით , ფინანსური მხარდაჭერა გაეწია სპორტულ დაწესებულებებში მომუშავე სპორტის სხვადასხვა სახეობის 345 მწვრთნელ - მასწავლებელს და დაფინანსდა სპორტის სხვადასხვა სახეობის 18 წლამდე ასაკის 240 წარმატებული სპორტსმენი ბავშვი.

2017 წელს ბიუჯეტში ახალგაზრდული ღონისძიებებისთვის, კოდი 8.8, გამოყოფილია 1 787,1 ათასი ლარი, რომელიც ხმარდება ახალგაზრდული ცენტრებისა და ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსებას, კერძოდ: ა(ა)იპ „AIESEC in Georgia" პროექტი "BELingual-ორენოვანი"; ა(ა)იპ „საზოგადოებრივი აზრი"-ს პროექტი „იდეების კონკურსი 2017";ა(ა)იპ „თავისუფალი აზრის ცენტრი"-ს პროექტი Youth Voice- ახალგაზრდების ხმა", რომელშიც 100-მდე ბენეფიციარმა მიიღო ინფორმაცია მუნიციპალურ დონეზე დაგეგმილი პროგრამების შესახებ; ა(ა)იპ „ევროპის ახალგაზრდული პარლამენტი-საქართველო"-ს პროექტი „ევროპის ახალგაზრდული პარლამენტი საქართველოს 2017 წლის ქალაქის სესია"; ა(ა)იპ „საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტული ფედერაციის" პროექტი „ქალთა დღისადმი მიძღვნილი ბოულინგის ტურნირი სტუდენტი გოგონებისთვის"; ა(ა)იპ „მხიარულთა და საზრიანთა კლუბი"-ს პროექტი ,,მხიარულთა და საზრიანთა თბილისის 2017 წლის ღია ჩემპიონატი"; ა(ა)იპ ქ. თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლისათვის სასწავლო-შემეცნებით პროექტში მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეების დაფინანსება და სხვა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N18-50, 22.07.2016 წლის დადგენილების *,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესის*

დამტკიცების შესახებ" თანახმად, *მერიაში ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ შექმნილია პროექტების განმხილველი კომისია.*

წარმოგიდგენთ აღნიშნულ კომისიაში ჩემს მიერ განხილული და მხარდაჭერილი პროექტებს:

2017 წლის შედგა 29 კომისიის სხდომა, რის საფუძველზეც განხილულ იქნა საქალაქო სამსახურში შემოსული 340-ი პროექტი, რომლებიც პროგრამულ განყოფილებებზე შემდეგნაირად გადანაწილდა.

სპორტის პროგრამების განყოფილებაში განსახილველად შემოვიდა 231 პროექტი, მოთხოვნილმა თანხამ ჯამში შეადგინა: 3 087 187,01 (სამი მილიონ ოთხმოცდაშვიდი ათას ას ოთხმოცდაშვიდი) ლარი.

აქედან 182 საკითხი გადაწყდა დადებითად, გადარიცხული თანხის რაოდენობამ ჯამში შეადგინა 686 612,94 (ექვსას ოთხმოცდაექვსი ათას ექვსას თორმეტი ლარი და ოთხმოცდათოთხმეტი თეთრი) ლარი. 33 პროექტს უარი ეთქვა დაფინანსებაზე. 16 პროექტს გაეწია შუამდგომლობა მთავრობასთან:

მოთხოვნილმა თანხამ ჯამში შეადგინა: 2 156 055,6 (ორი მილიონ ას ორმოცდათექვსმეტი ათას ორმოცდათხუთმეტი ლარი და სამოცი თეთრი) ლარი, ხოლო გადარიცხული თანხის რაოდენობამ: 2 148 496,1 (ორი მილიონ ას ორმოცდარვა ათას ოთხას ოთხმოცდათექვსმეტი) ლარი.

ახალგაზრდულ საქმეთა პროგრამების განყოფილებაში, მიმდინარე წელს განსახილველად შემოვიდა 51 პროექტი. მოთხოვნილმა თანხის ჯამმა შეადგინა: 519 748.05 (ხუთას ცხრამეტი ათას შვიდას ორმოცდარვა ლარი და ხუთი თეთრი) ლარი.

დადებითად გადაწყდა 38 პროექტი, რომელთა თანხამ ჯამში შეადგინა 175 404.95 (ას სამოცდათხუთმეტი ათას ოთხას ოთხი ლარი და ოთხმოცდათხუთმეტი თეთრი) ლარი.უარი ეთქვა დაფინანსებაზე 5 პროექტს. 8 პროექტს გაეწია რეკომენდაცია მთავრობასთან შუამდგომლობაზე.

სულ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას წარედგინა და დამტკიცდა 83 განკარგულება. აქედან 41 განკარგულების პროექტი ეკუთვნის სპორტის პროგრამების განყოფილებას, 12 ახალგაზრდულ საქმეთა პროგრამების განყოფილებას.

კომისიას, საანგარიშო პერიოდში ჰყავდა 3 სტაჟიორი, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ შემოსული განცხადება/წერილების განხილვასა და კომისიის სხდომების მომზადებაში. ესწრებოდნენ კომისიისა და საკრებულოს სხდომებს.

საკრებულოში, კომისიის თავმჯდომარესთან მოქალაქეების მიღება დაგეგმილია ყოველდღე, ოთხშაბათის გარდა. საკრებულოში საანგარიშო პერიოდში **136** მოქალაქესთან შედგა შეხვედრა, რომლებსაც გაეწიათ შესაბამისი დახმარება/კონსულტაცია.

კომისიაში შემოსულია 70 განცხადება/წერილი. კომისიის მიერ მომზადდა 61 წერილი, 9-ინფორმაციული ხასიათისა, 1-განხილვის პროცესშია. *განხილულია საკრებულოს სხდომის ყველა მასალა.*

ჩემი ინიციატივითა და საკრებულოს მხარდაჭერით გაიმართა შემდეგი მნიშვნელოვანი ღონისძიებები:

- თბილისის საკრებულოს თამარ მეფის სახელობის დარბაზში მსოფლიო რაგბის ოცწლამდელთა ჩემპიონატის თასის გაწთავსება;
- სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის მხარდაჭერით საკრებულოს დეპუტატებმა და აპარატის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს არაერთ სამოყვარულო სპორტულ ტურნირში, სადაც გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს, როგორც ფეხბურთში უწყებათაშორის ტურნირზე, „ნატოს თასის" საფეხბურთო ტურნირში, რომლისთვისაც გუნდის შექმნა იყო კომისიის თავმჯდომარის ინიციატივა. თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ასევე ქალთა დღისადმი მიძღვნილ სპორტულ აქტივობებში და სხვა არაერთ ღონისძიებაში, რომელიც მიზნად სამოყვარულო სპორტის ხელშეწყობასა და განვითარებას ისახავს.
- თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დიმიტრი ყიფიანის სახელობის დარბაზში გაიმართა შეხვედრა გიმნაზია „აია - GESS" მოსწავლეებთან, რომლებმაც მიმდინარე წლის ივნისში ამერიკის შეერთებულ შტატებში, ოსვეგოს უნივერსიტეტში გამართულ გენიოსების საერთაშორისო ოლიმპიადაში ვერცხლის მედლები და მეოთხე ადგილი მოიპოვეს. ამასთანავე, ისინი რუმინეთში დაგეგმილ მათემატიკის საერთაშორისო ტურნირში და ბევრ სხვა საერთაშორისო სამეცნიერო პროექტში ღებულობენ მონაწილეობას. მოსწავლეებს გადაეცათ სიგელები.
- ვუმასპინძლე ქალთა საფეხბურთო გუნდს „თბილისის თბილისს", სპორტსმენებს თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ მხარდაჭერილი სპორტული პროექტების შესახებ მიეწოდა ინფორმაცია.
- მიმდინარე წლის ივნისში, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ინიციატივით, მსოფლიო ჩემპიონატზე გამორჩეული ასპარეზობის შემდეგ, რაგბის 20 წლამდელთა ეროვნულ ნაკრებს ვუმასპინძლეთ;
- ქ. თბილისის საკრებულოს, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის ქეთევან ჯოხაძის ინიციატივით, ქალთა საფეხბურთო კლუბი "თბილისის თბილისი" სტუმრად იმყოფებოდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში, სადაც აღნიშნულ კლუბს ქალაქის მერმა, ბატონმა დავით ნარმანიამ უმასპინძლა.
- სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის ქეთევან ჯოხაძის და თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრის ჯაბა ჯიშკარიანის ინიციატივით შეხვედრა გაიმართა ნარდის მსოფლიო ჩემპიონატის ვიცე-ჩემპიონთან რევაზ ცხოვრებაშვილთან. საკრებულოს წევრებმა ვიცე-ჩემპიონს გამარჯვება მიულოცეს და სპორტის აღნიშნული სახეობის განვითარების მნიშვნელობაზე ისაუბრეს.

საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ფარგლებში სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთობის შესახებ ინფორმაცია:

საანგარიშო პერიოდში განხორციელებულია მიმოწერა შემდეგ სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან: ქ. თბილისის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქალაქო სამსახური, მერიის სსიპი არქიტექტურის საქალაქო სამსახური, თბილისის მუნიციპალიტეტის მერია, საქ. ეროვნული უნივერსიტეტი, საქ. ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, საქ. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, შპს „დინამო არენა",

შპს „თბილსერვის ჯგუფი“, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“, შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“, თბილისის პროკურატურა, ბ. პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი, ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, გლდანის რაიონული გამგეობა, კეთილმოწყობის სამსახური, მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური, თბილისის ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო, ქ. თბილისის მერიის სსიპ-ი ქონების მართვის სააგენტო, ქ. თბილისის მერიის სსიპ-ი არქიტექტურის სამსახური.
გავმართე შეხვედრები ფრისბის (ალეკო ედიშერაშვილი), ძიუდოს, ძალოსნობის, მძლეოსნობის, ჭადრაკის, თბილისის ტანვარჯიშის, კალათბურთის (ზვიად კოტრიკაძე), ჩოგბურთის(თორნიკე კიკნაველიძე), წყალბურთის ფედერაციების ხელმძღვანელებთან და ვეტერან ფეხბურთელთა ასოციაციის პრეზიდენტ ვაჟა ჟვანიასთან.

ჩემი ინიციატივით, საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სპორტის არაოლიმპიური სახეობებიც.

სხვა სახის ინფორმაცია

ამა წლის 30 მარტიდან -1 აპრილის ჩთვლით ვიმყოფებოდი ბათუმში, ქალთა საინფორმაციო ცენტრისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და შვედეთის მთავრობის ხელშეწყობით ორგანიზებულ კონფერენციაზე „ადგილობრივ თვითმმართველობაში გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმების დანერგვა. აღნიშნული კონფერენცია წარმოადგენს პროექტის ნაწილს, რომლის მიზანია თბილისის და სხვა მუნიციპალიტეტებისის გენდერული პოლიტიკის გაძლიერება, რაც გულისხმობს მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებას, ასევე გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმის ჩამოყალიბებას.

ამა წლის 30 ივლისიდან 3 აგვისტოს ჩათვლით, ისრაელის „ლიკუდ პარტიის“ საგარეო საქმეთა ხელმძღვანელის ნურით კორენის მოწვევით, საქართველოს პარლამენტის დელეგაციასთან ერთად ვიმყოფებოდი ისრაელში. შეხვედრა გაიმართა ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან, ქალბატონ ციპი ხოტოველთან. შეხვედრაზე ვისაუბრეთ საქართველო-ისრაელს შორის არსებულ მრავალწლიან, მეგობრულ ურთიერთობებზე, ასევე სამომავლო თანამშრომლობის პრიორიტეტულ საკითხებზე. ციპი ხოტოველმა განსაკუთრებით ხაზი გაუსვა, ბოლო პერიოდში ჩვენს ქვეყნებს შორის ეკონომიკის, განათლების, უსაფრთხოების და სოფლის მეურნეობის საკითებში ორმხრივი თანმშრომლობის უპირატესობებს.
შეხვედრა გვქონდა ისრაელის მაღალი ტექნოლოგიების განვითარების კომპანია „Mobeye”-ის წარმომადგენლებთან. „Mobeye“ არის მსოფლიო ბაზრის ლიდერი კომპანია, ავტოსაგზაო შემთხვევების პრევენციის, ე.წ ჭკვიანი კამერების გამოყენების სფეროში.
ამა წლის 10-13 აგვისტოს, გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიწვევით ვიმყოფებოდი ქობულეთში, სადაც გაიმართა ტრეინინგი თემაზე „ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი მექანიზმები და იმპლიმენტაციის ასპექტები“. ტრეინინგი განკუთვნილი იყო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლებისთვის.ტრეინინგზე განხილული იყო ძალადობის ფენომენი, ფორმები და

სტერეოტიპები. ოჯახში ძალადობისგან დამცავი მექანიზმების შეფასება და რეაგირება. მიმოხილული იყო კანონმდებლობის მიხედვით ძირითადი საერთაშორისო ინსტრუმენტები: ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ გაეროს კონვენცია (GEDAW). ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია (სტამბოლის კონვენცია).

მონაწილეობა მივიღე და დავესწარი შემდეგ ღონისძიებებს: კონფერენციას -„ადგილობრივი თვითმმართველობის როლი მოხალისეობრივი საქმიანობის განვითარების საქმეში"; წარმატებული მაგისტრანტების და მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სოციალურად დაუცველ სტუდენტებისთვის სერტიფიკატების და მადლობის სიგელების გადაცემას; კონფერენციას -„გენდერული მეინსტრიმინგი თბილისის მუნიციპალიტეტში"; საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ყოველწლიურ დაჯილდოებას; "თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული პოლიტიკის გაძლიერება" - აღნიშნული პროექტის ფარგლებში, სამუშაო შეხვედრას;თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში როკფელერის ფონდის მიერ შექმნილი ,,100 მედეგი ქალაქის'' ფარგლებში სამუშაო შეხვედრას. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, საქართველოს დედაქალაქი 21-ე საუკუნის გამოწვევების დაძლევაში ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებას მიიღებს, რაც ქალაქის მთავრობაში ახალი, ინოვაციური თანამდებობა-მედეგობის მთავარი მრჩეველი შექმნას ითვალისწინებს; თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს მიერ გამართულ კონფერენციას, რომელიც ადგილობრივ თვითმმართველობათა ასოციაციის (NALAG) ორგანიზებით, თემაზე-"ქალთა და მამაკაცთა თანაბარი მონაწილეობა ადგილობრივ თვითმმართველობაში - ევროპული ქარტიის პრინციპები" ჩატარდა; კონფერენციაში „გავიმარჯვოთ ქალებთან ერთად" მივიღე მონაწილეობა. წარმომადგენლობითი ორგანოს წევრების განცხადებით, ყოველწლიური კონფერენციის მიზანს ინტერპარტიული და სექტორებს შორისი დიალოგისთვის პლატფორმის შექმნა წარმოადგენს, სპორტული პუბლიცისტის, დემიკო ლოლაძის წიგნის „სლავა მეტრეველი" პრეზენტაციას; ვაზისუბნის IV მიკრორაიონში ახალი, რაგბის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სტადიონის მშენებლობის საძირკველში სიმბოლური კაფსულის ჩადებას; საკრებულოში ტოლერანტობის საერთაშორისო დღის აღნიშვნას; დევისის თასის გათამაშების ევრო-აფრიკული ზონის მეორე ჯგუფის მატჩს; მზიურის პარკში მდებარე საჩოგბურთო კომპლექსისათვის ლეგენდარული ქართველი ჩოგბურთელის, ალექსანდრე მეტრეველის სახელის მინიჭების ცერემონიალს; თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, თამარ მეფის სახელობის დარბაზში გამართულ მიხეილ მესხის 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით, დემიკო ლოლაძის მიერ გამოცემული წიგნის წარდგენის ღონისძიებას; შევხვდი შვედეთის ქალაქ სკოვდეს საბჭოს დელეგაციას; კალათბურთელთა ეროვნული ნაკრების ევროპის ჩემპიონატზე გაცილების ღონისძიებას.